



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 45

ქ. თბილისი

03/02/2017

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 24 იანვრის №26 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ნ ა ნ ბ :**

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 24 იანვრის №26 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4<sup>1</sup>“ პუნქტი:

„4<sup>1</sup>) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა სიმონიას უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროექტების მართვის სამსახური.“

გ) მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე თევდორაძის არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა სიმონიამ.“

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



.